ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
WHO/GSC/GPL
მალაიზია, კიბერჯაია 63000, იალან ტექნოკრატი 6, კვარტალი 3510

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები
ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეგისტრაცია: 2013/323837-0
შესყიდვის შეკვეთა: 200767896
რეგ. ფაილი: 2013-323837
ერთეულის მონაცემები: CO GEO/DCE

ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების შესახებ

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია თანხმდება, უზრუნველყოს ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი თბილისი,
გენერალური დირექტორი,
საქართველო, თბილისი,

ფიქსირებული თანხით, 14 450,00 (თოთხმეტი ათას ოთხას ორმოცდაათი) დოლარის ოდენობით, საქართველოში ბაქტერიული მენინგიტის ეპიდემიური ზედამხედველობისა და ავადობის ტვირთის შეფასებასთან დაკავშირებით, წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად დაფინანსებული პერიოდის განმავლობაში: 2013 წლის 1 მაისიდან 2013 წლის 1 დეკემბრამდე.

სამუშაოს შეჯამება:

სამუშაოს აღწერა წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად:

ფინანსური პირობები:
ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგნაირად:

	მისაწოდებელი დოკუმენტები	სავალდებულო თარიღი	%	ვალუტის რაოდენობა
1	ორმხრივად ხელმოწერილი ხელშეკრულება	1 მაისი, 2013	50,00	7 225,00
2	საბოლოო ტექნიკური ანგარიში	1 დეკემბერი, 2013	0,00	0,00
3	ფინანსური ანგარიში	1 დეკემბერი, 2013	50,00	7 225,00

დანართები
შემდეგი დანართები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს:

დანართი	ფაილის სახელი
1	ფინანსური ანგარიში
2	კომპეტენციის სფერო
3	ბიუჯეტი

იმ შემთხვევაში, თუ დანართები შეიცავს რაიმე დებულებას, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, უპირატესობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს მიენიჭება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ფინანსური მონაცემები

	პროექტი	ამოცანა	ჯილდო	ხარჯის ტიპი	ხარჯის ორგანიზაცია	%	აშშ დოლარი
1	EUGEO1206180	9,2	60617	513-	ევროკავშირი-	100	14 450,00

				საკონტრაქტო მომს., ზოგადი	საქართველო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ოფისი, საქართველო		

ქვემორე ხელისმომწერმა მხარეებმა, გაეცნენ რა ზოგად პირობებს, გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება და ამით დაადასტურეს თავიანთი თანხმობა ამ პირობებზე.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სახელით
ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის
პასუხისმგებელი ტექნიკური პირი:
გიორგი ქურციკაშვილი
ნაციონალური პროფესიული ოფიციალური პირი
ევროკავშირი–საქართველო, ჯანდაცვის მსოფლიო
ორგანიზაციის ქვეყნის ოფისი, საქართველო

საკონტრაქტო პარტნიორი
ხელმოწერა: ხელმოწერილია
თარიღი: 07.05.2013

სახელი და თანამდებობა:
ამირან გამყრელიძე
გენერალური დირექტორი

დამტკიცებულია:
რუსუდან კლიმიაშვილის მიერ
ნაციონალური პროფესიული ოფიციალური პირი
ევროკავშირი–საქართველო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ქვეყნის ოფისი, საქართველო

პასუხისმგებელი ხელმომწერი პირი:

ხელმოწერილია
ჯონ კენედი
გლობალური სერვის ცენტრის დირექტორი

ჯია იი ლიი
შესყიდვების ასისტენტი
HQ/GSC გლობალური სერვის ცენტრი
25-APR-2013

ძირითადი პირობები

1. გასაგებია, რომ ეს სამუშაოს შესრულება არ წარმოშობს დამქირავებელ–დაქირავებულის რაიმე ურთიერთობას. ამასთან დაკავშირებით, საკონტრაქტო პარტნიორი ერთპიროვნულად აგებს პასუხს იმაზე, თუ როგორ ჩატარდება სამუშაო. ამრიგად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე, უბედურ შემთხვევაზე, სხეულისა თუ სხვა სახის დაზიანებაზე, რომელიც მიადგება ნემისმიერ პირს, რაც შეიძლება მოხდეს სამუშაოს შესრულებისას თუ მის გარეთ, მგზავრობის ჩათვლით. დაზღვევით უზრუნველყოფა, ნებისმიერ ასეთ ზარალზე, უბედურ შემთხვევაზე, სხეულისა თუ სხვა სახის დაზიანებაზე, საკონტრაქტო პარტნიორის პასუხისმგებლობაა, სადაც საჭიროა, იმ პირების დაზღვევით უზრუნველყოფის ჩათვლით, რომლებიც გამოყენებულ იქნა საკონტრაქტო პარტნიორის მიერ, ამ სამუშაოს შესასრულებლად.

ზემოთ ხსენებულისთვის ზიანის მიყენების გარეშე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება მოახდინოს საკონტრაქტო პარტნიორის დაზღვევით უზრუნველყფა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ტრანსპორტით მგზავრობისთვის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია არ იღებს არავითარ პასუხისმგებლობას სადაზღვევო კომპანიის მიერ უბედური შემთხვევის გამო მოთხოვნილი ანაზღაურების სრულად ან ნაწილობრივ გადაუხდელობის გამო; ასეთ შემთხვევაში, საკონტრაქტო პარტნიორი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას მის მიერ საკონტრაქტო პარტნიორისთვის წინასწარ გადახდილი თანხა ან მისი ნაწილი.

2. ყველა უფლება, სამუშაოში, თავდაპირველი სამუშაოსა და საავტორო უფლების ფლობის ჩათვლით, ეკუთვნის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას, რომელიც ინარჩუნებს უფლებას, (ა) გადახედოს სამუშაოს, (ბ) სამუშაო გამოიყენოს განსხვავებულად, ვიდრე თავდაპირველად იყო გათვალისწინებული, ან (გ) არ გამოაქვეყნოს ან არ გამოიყენოს სამუშაო.

3. თუ, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვრცელდება ფიქსირებული თანხის გადახდის არჩევანი, ამ თანხის გადახდა უნდა მოხდეს მიწოდებული ფორმით, სამუშაოს სათანადო შესრულების შემთხვევაში. თუ ვრცელდება მაქსიმალური თანხის გადახდის სურვილი, სახსრები გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოსთვის, და ნებისმიერი დაუხარჯავი ნაშთი უნდა დაუბრუნდეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ნებისმიერი საჭირო ფინანსური ანგარიში უნდა ასახავდეს ხარჯებს, ხარჯის შესაბამისი მთავარი კატეგორიების მიხედვით. არა ინდივიდუალურმა კონტრაქტორებმა უნდა წარუდგინონ ინვოისი საკონტრაქტო ერთეულებს ან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გლობალურ სერვის ცენტრს, ანგარიშსწორების მისაღებად. ინვოისების წარმოდგენა საჭირო არ არის ინდივიდუალური კონტრაქტორებისგან, რომელთა მიმართაც შეიძლება ანგარიშსწორება განხორციელდეს შეთანხმებული პროდუქტისა თუ მომსახურების მიღებისთანავე, საკონტრაქტო ერთეულის მიერ.

4. თუ სამუშაო დამაკმაყოფილებლად არ არის შესრულებული (ან, სადაც საჭიროა, მიწოდებული), წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული თარიღისთვის, და/ან რომელიმე სავალდებულო ფინანსური ანგარიში არ არის დამაკმაყოფილებლად წარდგენილი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისთვის, ქვემოთ მოცემული ძირითადი პირობა 5-ის თანახმად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას შეუძლია, გამოყოს დამატებითი პერიოდი, რომლის ფარგლებშიც წინამდებარე ხელშეკრულება დამაკმაყოფილებლად უნდა შესრულდეს. ჩვეულებრივ, ასეთი დამატებითი პერიოდი უნდა გრძელდებოდეს არანაკლებ ერთი კვირისა, თუ ხელშეკრულებიდან ნათელი არ არის, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, სამუშაო შესრულებულიყო მითითებული თარიღსთვის, რა შემთხვევაშიც, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას შეუძლია, გამოყოს უფრო ნაკლები დრო, ან საერთოდ უარი თქვას რაიმე დამატებითი დროის გამოყოფაზე. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო დამაკმაყოფილებლად არ არის შესრულებული და მიწოდებული წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული თარიღისთვის, და/ან რომელიმე სავალდებულო ფინანსური ანგარიში არ არის დამაკმაყოფილებლად წარდგენილი ჯანდაცვის

თანახმად, ან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი დამატებითი პერიოდის განმავლობაში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას შეუძლია, გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულება (ნაკლოვანების აღმოფხვრის სხვა საშუალებებთან ერთად), იმ პირობით, თუ მოხდება მიუკეძოებელი შეთანხმების გაფორმება, თუ დაყოვნება გამოწვეული იქნება ფორსმაჟორული გარემოების შედეგად.

5. საკონკტრაქტო პარტნიორი შეასრულებს და მიაწვდის სამუშაოს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას (ნებისმიერი ტექნიკური ანგარიშის ჩათვლით, რომელიც შეიძლება სავალდებულო იყოს), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თარიღისთვის, ან რაიმე დამატებით პერიოდში, რომელიც გამოიყოფა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, ზემოთ მოცემული ძირითადი პირობა 4-ის თანახმად. ნებისმიერი სავალდებულო ფინანსური ანგარიში წარდგენილ უნდა იქნას არაუმეტეს ოცდაათი დღის ვადაში. თუ ანგარიშსწორების გრაფიკი, წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, ითვალისწინებს საბოლოო ანგარიშსწორებას სამუშაოს დასრულების შემდეგ, საბოლოო ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მისაწოდებელი მასალის დამაკმაყოფილებელი ფორმით მიღების შემდეგ, ნებისმიერი ტექნიკური და ფინანსური ანგარიშის ჩათვლით.

6. თუ საკონკტრაქტო პარტნიორი ხელს მოაწერს წინამდებარე ხელშეკრულებას, პირადი კომპეტენციის ფარგლებში, და არა რომელიმე იურიდიული პირის სახელით, ამ შემთხვევაში, საკონკტრაქტო პარტნიორი ადასტურებს, რომ მას არც ამჟამად აქვს და არც წინამდებარე ხელშეკრულების ვადის განმავლობაში დაამყარებს რაიმე ფორმის საკონტრაქტო ურთიერთობას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული, ქვეყნის თუ საპროექტო ოფისის, ასევე ნებისმიერი პროგრამის, ცენტრისა თუ სხვა სუბიექტის ჩათვლით, სადაც პერსონალი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პერსონალის დებულებებსა და წესებს ექვემდებარება), რაც საკონტრაქტო პარტნიორს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანამშრომლის სტატუსს ანიჭებს. საკონტრაქტო პარტნიორს ესმის, რომ ყალბმა განცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს რომელიმე ან ყველა კონტრაქტის გაუქმება, და/ან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან კონტრაქტის გაფორმების ნებისმიერი შეთავაზების უარყოფა.

7. თუ, და იმ შემთხვევაში, როცა წინამდებარე ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაო მოიცავს კვლევას ან ინტერვიუებს, რომელშიც ადამიანები ჩაერთვებიან (შემდგომში წოდებული, როგორც „კვლევა“), გავრცელდება შემდეგი პირობები:

7.1 ეთიკური მხარეები
საკონტრაქტო პარტნიორი პასუხისმგებელია, დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ჩატარებულ კვლევაში მონაწილე ადამიანების უფლებები და კეთილდღეობა, შესაბამისი ეროვნული ეთიკის კოდექსის ან კანონმდებლობის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო თუ ისინი არ არსებობს - ჰელსინკის დეკლარაციისა და მისი შემდგომი ცვლილებების თანახმად. ასეთი კვლევის დაწყებამდე, საკონტრაქტო პარტნიორმა უნდა უზრუნველყოს, რომ (ა) კვლევაში ჩართული ადამიანების უფლებები და კეთილდღეობა ადეკვატურად არის დაცული; (ბ) ყველა მონაწილისგან მიღებულია ნებაყოფლობით გაცემული ინფორმირებული

მიჩნეულია მისაღებად, საკონტრაქტო პარტნიორის მიერ დანიშნული დამოუკიდებელ ექსპერთა ჯგუფის მიერ, და (დ) დაკმაყოფილებულია ყველა სპეციალური ნაციონალური მოთხოვნა.

7.2 მარეგულირებელი მოთხოვნები
საკონტრაქტო პარტნიორი პასუხისმგებელია, აკმაყოფილებდეს შესაბამის ეროვნულ ნორმებს, კვლევასთან მიმართებით, რომელშიც ადამიანები მონაწილეობენ.

7.3 კვლევის მონაწილეთა დაცვა
გამოყენებადი კანონებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გარეშე, საკონტრაქტო პარტნიორმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა აღმოფხვრას ან შეამსუბუქოს ნებისმიერი უარყოფითი შედეგი, რომელიც შეიძლება მიადგეს კვლევის მონაწილეებს ან მათ ოჯახებს, წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ჩატარებული კვლევის შედეგად. ასეთი ზომები, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მოიცავდეს შესაბამის კონსულტაციას, სამედიცინო მომსახურებას და ფინანსურ დახმარებას. საკონტრაქტო პარტნიორი ასევე პასუხისმგებლობას იღებს, დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც დაკავშირებულია კვლევაში ჩართული პირის შესაძლო იდენტიფიკაციასთან.

8. თუ არ მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების ინტერპრეტაციასა ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის მეგობრული გზით მოგვარება, ის დაექვემდებარება მორიგების პროცედურას. თუ ამ უკანასკნელის განხორციელება შეუძლებელია, დავა არბიტრაჟის საშუალებით უნდა მოგვარდეს. არბიტრაჟი უნდა ჩატარდეს მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობების, ან შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟის წესების თანახმად. არბიტრაჟის განაჩენი, მხარეთა მიერ, მიჩნეული უნდა იქნეს საბოლოოდ.

ჯეროვნად ვფლობ ქართულ და ინგლისურ ენებს და პასუხს ვაგებ თარგმანის სისწორეზე.
მთარგმნელი: *ნ. ქოიავა* Natia Koiava
I know Georgian and English languages properly and I am responsible for accuracy of my translation
Translator: *N. Koiava* Natia Koiava

თარგმანი სწორია
THIS IS TRUE AND CORRECT TRANSLATION
შპს "ტრადოსი" ს/ს 204544029
ტელ: 599 217 957; 2 99 99 85
ვეშაპინის ქ. 19
www.trados.ge, geotrados@yahoo.com

კომპეტენციის სფერო

კომპეტენციის სფეროს წარმოადგენს საქმიანობის განხორციელება საქართველოში ბაქტერიული მენინგიტის ეპიდემიურ ზედამხედველობასა და ავადობის ტვირთის შეფასებასთან დაკავშირებით:

1. პროექტში ჩართული პერსონალის უწყვეტი მონიტორინგისა და ზედამხედველობის განხორციელება, სამეთვალყურეო კლინიკაში (ექიმები და ბაქტერიოლოგები). ბაქტერიული მენინგიტის სავარაუდო დიაგნოზის მქონე ჰოსპიტალიზებული პაციენტების ზურგის ტვინის სითხის ნიმუშების სათანადო აღების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და ლაბორატორიული შემოწმების უზრუნველყოფა, შემდეგი პათოგენებით გამოწვეული შემთხვევების იდენტიფიკაციისთვის: პნევმონიის სტრეპტოკოკი, B ტიპის ჰემოფილური ჩხირი, მენინგოკოკი.
2. ეროვნული ლაბორატორია მიიღებს, ჩაატარებს განმეორებით ანალიზს, დაამტკიცებს იდენტიფიკაციას, შეინახავს და შეინაჩუნებს ცოცხალი შტამების კოლექციას ეროვნული მასშტაბით, სამეთვალყურეო კლინიკიდან.
3. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გარე ძალებით ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამაში მონაწილეობა, რომელიც კორდინირებული იქნება ინფექციურ დაავადებათა ეროვნული ინსტიტუტის, იოჰანესბურგი, მიერ. სამეთვალყურეო კლინიკის ლაბორატორია და ეროვნული საცნობარო ლაბორატორია მიიღებენ პროფესიულ ანალიზებს, ბაქტერიული შტამებით, მიღებულ ნიმუშებზე ტესტირების ჩასატარებლად. ეს მოიცავს: მიკროსკოპიას, კულტივირებას, იდენტიფიკაციას, ანტიგენის აღმოჩენას, ანტიმიკრობული მგრძნობიარობის შემოწმებას და სეროტიპირებას/სეროდაჯგუფებას (საჭიროების შემთხვევაში).
4. გარე ძალებით ხარისხის უზრუნველყოფის სხვა კომპონენტში მონაწილეობის უზრუნველყოფა, შტამების შეთანხმებული რაოდენობის გაგზავნა წელიწადში ორჯერ (შესაბამისი კლინიკური ნიმუშებით), განმეორებითი შემოწმებისა და შემდგომი მოლეკულური გამოკვლევისთვის, რეგიონალურ საცნობარო ლაბორატორიაში, მოსკოვში, ან სხვა საცნობარო ლაბორატორიაში, რომლის მითითებაც უნდა მოხდეს.
5. იმ შტამების გაგზავნა აღნიშნული საცნობარო ლაბორატორიებისთვის, რომელთა ტიპის დადგენა ვერ ხერხდება ეროვნული ლაბორატორიის მიერ (პუნქტი 3).
6. ტექნიკური მომზადებისა და დახმარების უზრუნველყოფა, ბაქტერიული მენინგიტის კვლევის ეროვნული ქსელისთვის, რომელიც შესაბამისი სტანდარტიზირებული მეთოდოლოგიებისგან შედგება.
7. შედეგების ანგარიშის მიწოდება ჯანდაცვის სამინისტროსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ქვეყნის ოფისისთვის, თვიურად და კვარტლურად.

ჯეროვნად ვფლობ ქართულ და ინგლისურ ენებს და პასუხს ვაგებ თარგმანის სისწორეზე.
მთარგმნელი: *ნ. ქოიავა*
I know Georgian and English languages properly and I am responsible for accuracy of my translation
Translator: *N. Koiava*

THIS IS TRUE AND CORRECT TRANSLATION
Natia Koiava
www.trados.ge, geotrados@yahoo.com